]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1424
28/07/2020

1424-01-4-202007281019

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ქცევის დროებითი წესის შემოღების შესახებ

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით მიზანშეწონილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში შემოღებულ იქნეს ქცევის დროებითი წესი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულებისა და „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის N368 დადგენილები საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ის თანამშრომელი (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე, მათ შორის, პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი):

ა) რომელიც წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით განსაზღვრულ ეპიდემიური რისკის მქონე ქვეყნებში ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) რომელიც წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დროისთვის ან შემდეგ იმყოფება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქვეყანაში და დაბრუნდება საქართველოში – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:

ა) წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 2-კვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;

ბ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია უშუალო ხელმძღვანელსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებას (შ. ხურციძე) და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში;

გ) შესაძლებლობის შემთხვევაში, სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

3. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

4. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:

ა) შეიზღუდოს საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, პ. ადამაძემ უზრუნველყოს დაწესებულებებში გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა/რეგულირება;

5. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე სრულ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ის პირველადი სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები), რომლებსაც არ უწევთ მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრები, კერძოდ:
ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური;
ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;
დ). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური.

6. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმზე გადავიდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ის პირველადი სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები), რომლებსაც მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრები უწევთ, კერძოდ:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური;
ბ) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური;
გ) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური;
დ) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური;
ე) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური;
7. წინამდებარე ბრძანების მე-5 პუნქტში მითითებულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებში (სამსახურებში) დასაქმებულმა პირებმა სამუშაო შეასრულონ დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად.
8. წინამდებარე ბრძანების მე-6 პუნქტში მითითებულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებში (სამსახურებში) დასაქმებული პირები

მორიგეობით გამოცხადნენ სამუშაო ადგილზე და შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები.
9. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 1 საათისა) უნდა გამოცხადდეს.
10. ცნობად იქნე მიღებული, რომ დისტანციურ რეჟიმზე გადასულ ან/და წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.
11. აიკრძალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში დასაქმებულ პირთა და ვიზიტორთა პირბადის გარეშე გადაადგილება.
12. პირბადის გამოყენება აუცილებელია დახურულ საჯარო სივრცეში, კერძოდ:

ა). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მისაღებში;

ბ). შეხვედრებზე/თავშეყრისას, როდესაც შეუძლებელია 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვა;

13. მე-11 და მე-12 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაშვებია როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პირბადის გამოყენება.

14. მე-12 და მე-13 მუხლებით დადგენილ შემთხვევებში პირბადის გამოყენება არ მოეთხოვება:

ა). პირს დახურულ საჯარო სივრცეში, თუ პირის მიერ მომსახურების მიღება/მომსახურებით სარგებლობა და პირბადის ტარება ერთად შეუძლებელია;

ბ). პირს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მათ შორის, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების, ბრონქული ასთმის, სუნთქვის უკმარისობით მიმდინარე გულ-სისხლძარღვთა დაავადების, ფსიქიკური აშლილობის, აუტისტური სპექტრის დარღვევის ან/და განვითარების ანომალიის ან დეფექტის გამო) უჭირს პირბადის ტარება, რაც დასტურდება სამედიცინო/ექიმის ცნობით;

15. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ შეხვედრებზე/თავშეყრისას გამომსვლელს/მომხსენებელს შეუძლია, არ გამოიყენოს პირბადე გამოსვლისას/მოხსენებისას, თუ იგი დაიცავს არანაკლებ 2 მეტრის სოციალურ დისტანციას.

16. წინამდებარე ბრძანები პირველი-მე-15 პუნქტებით დადგენილი წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{11} მუხლის შესაბამისად.

17. წინამდებარე ბრძანების პირველი-მე-15 პუნქტებით დადგენილი წესის აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადმა სტრუქტურულმა ერთეულებმა: მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (პ. ადამაძე) და მერიის ზედამხედველობის სამსახურმა (გ. სვანიძე).

18. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე წინამდებარე ბრძანების მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისათვის მოქმედებს ხუთდღიანი სამუშაო კვირა.

19. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე წინამდებარე ბრძანების მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეები მუშაობენ ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა. სამუშაო საათები განისაზღვრება 10 სთ–დან 18 სთ–მდე, ერთსაათიანი შესვენებით – 13–დან 14 სთ–მდე.

20. წინამდებარე ბრძანების მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების ან/და დღის განმავლობაში სამსახურიდან გასვლის შესახებ ვალდებულია აცნობოს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს.

21. წინასწარ ცნობილი მიზეზის გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანების მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს გამოუცხადებლობის სავარაუდო პერიოდი, სათანადო მიზეზის მითითებით.

22. წინამდებარე ბრძანების მე-18 და 21-ე პუნქტების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადმა სტრუქტურულმა ერთეულმა, მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (პ. ადამაძე).

23. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ /შ. ხურციძემ/ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისათვის (პოლიტიკური თანამდებობის პირი, საჯარო მოსამსახურე, მათ შორის, პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი).

24. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

25. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

26. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

27. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე http://kutaisi.gov.ge/ და გაიკრას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობის საჯარო სივრცეში

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი